საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 159/01
08/01/2021

159-01-2-202101080930

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისს“

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კმ

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილია განცხადება მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენისა (ნარჩენების აღდგენა) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებით შენახვაის ობიექტზე. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის, მე-15 ნაწილის თანახმად, „საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.

სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ აქტს გამოსცემს „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე ნორმატიული აქტის მე-13 მუხლის, პირველი ნაწილის მიხედვით, **„მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულების შემდეგ, რაც დასტურდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებით მიმართოს სამინისტროს“.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული ობიექტის ინსპექტირება 2019 წლის 20 დეკემბრის №2-1238 ბრძანებით დადგენილი გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დასადგენად. გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ აღნიშნული ობიექტის ინსპექტირებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას უზურნველყოს შესაბამისი წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე